პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

4 იანვარი ხუთშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 3 (15520)

ხუთწლედს — მასების შრომითი ენერგია!

მაღალორგანიზატორული შრომის ენერგიას, გამრავლებულს საკუთარი ქვეყნის, სოციალისტური სამშობლოს სიყვარულზე, შუაძლია სასწაულებს მოახდინოს.

ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთავი“.

□ □

უკვე მეოთხე დღეა, რაც ისტორიის მრიცხველი უჩვენებს 1973 წელს. საბჭოთა ადამიანებმა მტკიცედ მიიღეს ჟამთასვლის ესტაფეტა და კვლავაც დაიკავეს ავანგარდის ადგილი კაცობრიობის საზოგადოებრივ პროგრესში.

ახალი წელი საბჭოეთის მიწაზე მაშინვე გვეწვია, როგორც კი დამთავრდა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის დღესასწაული. ზეიმმა, საიუბილეო სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ თვითეულ საბჭოთა ადამიანში გამოიწვია კანონიერი სიამაყე მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოსათვის და ღრმა პატრიოტული მისწრაფება— მიაღწიონ ახალ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში.

მართლაც, ეს იყო დიდებული ზეიმი, სადაც მთელი სიმშვენიერით გადაიშალა საბჭოთა სახელმწიფოს მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის არნახული პანორამა. საიუბილეო ზეიმმა ახალი ძალა, ახალი ენერგია შემატა საბჭოთა ადამიანების პრაქტიკულ საქმეებს და იგი განსაკუთრებით თავს იჩენს ახლა, როცა დაიწყო მეცხრე ხუთწლედის გადამწყვეტი მესამე წელი.

მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად ახალ წელს ახალი ძალით, ახალი ენერგიით აღსავსენი შეხვდნენ საბჭოთა საქართველოს მშრომელები. მთელ რესპუბლიკაში ჩქეფს სისხლსავსე ცხოვრება. პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მშრომელი ადამიანები თავიანთ ყურადღებას მიაპყრობენ ხუთწლედის მესამე წლის ამოცანებს, გადამწყვეტ ბრძოლას უცხადებენ წარსულის მანკიერებებს, სოციალისტური კანონიერების დარღვევებს, ახორციელებენ ქმედით ღონისძიებებს სოციალიზმისათვის უცხო სოციალური წყლულების აღმოსაფხვრელად.

ახალი წლის პირველ დღესვე თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანაში გაიმართა აქტივის კრება. მისმა მონაწილეებმა ერთხმად გადაწყვიტეს არ დასჯერდნენ მიღწეულს და იკისრონ ახალი სოციალისტური ვალდებულებანი მომდინარე წლისათვის. ასეთივე კრება გაიმართა და გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს რუსთავის ქიმიური კომბინატის მუშებმა. მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის მუშაკთა პატრიოტულ თაოსნობას მხარს უბამენ ჩვენი მინდვრის მშრომელები — მეჩაიეები და მევენახეები, მებაღეები და მეცხოველეები.

სოციალისტური შეჯიბრების ახალ ვალდებულებებში ასახულია მთავარი მიზანი — სრულყონ წარმოება, გაუმჯობესონ მისი ორგანიზაცია, ყოველმხრივ განამტკიცონ შრომის დისციპლინა და მინიმუმამდე შეამციროონ სამუშაო დროის დანაკარგები, დაიჩქარონ შრომის ნაყოფიერების გადიდების ტემპი. საქმე ეხება იმასაც, რომ არა მარტო რაოდენობრივად გამოვუშვათ პროდუქცია, არამედ მივაღწიოთ კიდეც მისი ხარისხის გაუმჯობესებას, თვითღირებულების შემცირებას. დღეს სწორედ ამაზეა დამოკიდებული მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლება.

კომუნიზმის მშენებლობის მასშტაბების ზრდის კვალობაზე ყოველწლიურად იზრდება ამოცანები. ეს კი მოითხოვს დაძაბულ შრომას, სამეურნეო საქმიანობის უფრო მაღალ დონეს, ვიდრე ადრე გვქონდა, მართვის დაგეგმვისა და მართვის მთელი სისტემის სრულყოფას. პარტიული ორგანიზაციები უნდა იღვწოდნენ, რომ ადამიანებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ წარმოების ამა თუ იმ უბანს, ჰქონდეთ მინდობილი საქმისათვის პერსონალური პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, იჩენდნენ ინიციატივას, დროზე იყენებდნენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს და შეურიგებელი იყონ ნაკლოვანებებისადმი.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას მომართეს მოწოდებით, რომ არა მარტო მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულონ 1973 წლის საგეგმო დავალებანი, არამედ საჭირო მარაგსამეტიც შექმნან მომდევნო წლებისათვის. კომუნისტურ პარტიას ამ ამოცანის წარმატებით განხორციელების საწინდრად მიაჩნია: არსებული დიდი რეზერვების რეალიზაცია, მომჭირნეობის მკაცრი რეჟიმი, ასამუშავებელ ობიექტებზე ძალებისა და სახსრების თავმოყრა, შრომის დისციპლინის განმტკიცება და მუშაობაში ორგანიზებულობის ამაღლება.

უდავოა, რომ ხუთწლედის მესამე წლის — დამკვრელური მშენებლობის წლის გეგმების ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრება კიდევ უფრო მძლავრად გაჩაღდება. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა არა მარტო საკუთარში ჩაუდგნენ მას, არამედ მტკიცედაც დაიცვან შეჯიბრებაში საჯაროობისა და შესადარობის ლენინური პრინციპი. ახალი წლის პირველი დღეებიდანვე წავახალისოთ მოწინავენი და გავაკრიტიკოთ ისინი, ვინც არაკეთილსინდისიერად შრომობს, ვინც ხელისით კისრულობს ვალდებულებებს, მაგრამ ნაკლებად ზრუნავს მათი შესრულებისთვის. პირველადი პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველ საწარმოში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა თუ სამეცნიერო დაწესებულებებში შექმნან ორგანიზებულობისა და მომთხოვნელობის ატმოსფერო, დოყლაპიობისა და მოდუნებისადმი, სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის დარღვევის ფაქტებისადმი შეუწყნარებლობის ვითარება.

ცნობილია, რომ სიუხვისათვის ბრძოლა, ჩვენი გეგმების წარმატებით შესრულება უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია მასების პოლიტიკურ შეგნებულობაზე, იმაზე, თუ რამდენად ღრმად ესმის თვითეულ მოქალაქეს თავისი საზოგადოებრივი მოვალეობა ქვეყნისა და საბჭოთა ხალხის წინაშე. ამიტომ პარტია კვლავაც ახალი ძალით უსვამს ხაზს მუშაობას ადამიანთა საზოგადოებრივი შეგნების ფორმირებისათვის, თვითეულ საბჭოთა ადამიანში კომუნიზმის აქტიური მშენებლის თვისებების ყოველმხრივი განვითარებისათვის. ეს მუშაობა უნდა წარმოებდეს სისტემატურად, თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად.

ახლა პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიის რაიონული, საქალაქო და საოლქო კომიტეტების ამოცანა ის არის, რომ ფართო პროპაგანდა გაუწიონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 50 წლისთავის შესახებ“, რომელიც ამდიდრებს პარტიისა და ხალხის მთელ იდეურ ცხოვრებას. ამ საქმეში დიდი როლი აკისრიათ ჩვენს პრესას, ტელევიზიას, რადიოს, პარტიული განათლების სისტემას, კომკავშირელთა და ახალგაზრდობის პოლიტიკურ სწავლებას, აგიტატორებსა და პოლიტინფორმატორებს. განმარტებითი მუშაობა მტკიცედ უნდა დაუკავშიროთ ცალკეული კოლექტივების კონკრეტულ ამოცანებს, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობით მიგაღწიოთ მასების შემოქმედებითი შრომისა და აქტივობის შემდგომ ამაღლებას.

საბჭოთა ადამიანებს უსაზღვროდ უყვართ თავიანთი საშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. საბჭოთა პატრიოტიზმის ძალა და ცხოველმყოფელობა თავს იჩენს, კრისტალდება განვითარებული სოციალისტური საზოგადოებისათვის საბჭოთა ადამიანების თავდადებულ შრომაში, მათს მგზნებარე სოციალისტურ ინტერნაციონალიზმში. ისინი დღეს პრაქტიკულად ასახავენ ხორცს პარტიის მოწოდებას: თავიანთ შრომითს ენერგიას ისინი საკუთარი ქვეყნის სიყვარულზე ამრავლებენ, რომ სასწაულები მოახდინონ.

ახალ წელს ახალ წარმატებებს გისურვებთ, ძვირფასო მეგობრებო!

შრომით ვაღიდოთ საშობლო

ახალი წლის პირველი დღეებიდანვე მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს ქვანახშირის ხაწარმოო გაერთიანება „ტყვარჩელი“ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის საპატივოდ. უკვე მიღებულია ათობით ტონა ზეგეგმითი „შავი ოქრო“, სურათზე: მოწინავე ბრიგადირი ვ. ცქიფურიშვილი (წინა პლანზე), ბრიგადის წევრები ა. ზაკალინი, ი. დავიდოვი და ვ. კაზაკი.

ი. ჰოსონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ახალი მიჯნებისაკენ

თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის, ჭიათურის მარგანეცის ტრესტისა და ქუთაისის ავტომშენებელთა კოლექტივებმა გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს ხუთწლედის მესამე წლისათვის.

გაღალი შრომითი მაჩვენებლებით დასამთავრა მარნეული წელი თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა. ვადამდე 28 დეკემბერს შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა. 1973 წლის დადგომის წინ ხაზზე გავიზავნა გეგმის უადგილებით შეკეთებული მოლიანლითონის ვაგონი და მოტორვაგონიანი სექცია. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია აგრეთვე ათობით წვეის ძრავა, ბევრი ნაჭედი და სხვა პროდუქცია.

მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის სახელმწიფოს კოლექტივს გადაეცა საიუბილეო საპატიო სიგელი, რამაც ახალი შრომითი მიღწევებისათვის აღაფრთოვანა ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები.

გუშინ ქარხანაში გაიმართა იმ ახალი ვალდებულებების განხილვისადმი მიძღვნილი კრება, რომლებიც უნდა იკისრონ ხუთწლედის მესამე წლისათვის.

კრება გახსნა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ გ. კაპკაჭიშვილმა, რომელმაც ინფორმაციისათვის სიტყვა მისცა საწარმოს უფროსს ა. მახსარაშვილს.

კრებაზე გამოვიდნენ თელების სახარატო ხაამქროს უფროსი ვ. არგინიანი, მოტორვაგონის საამქროს ელექტროზენკალი ვ. ბეჟუაშვილი, ქარხნის მთავარი ბუღალტერი ვ. ალაშნიკოვი, სამგზავრო ვაგონის საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ა. ვირსალაძე, მექანიკურ-საინსტრუმენტო საამქროს სარაჯი ა. მარგველაშვილი, ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ჯ. ვეფხვაძე და ელექტროსამანქანო საამქროს უფროსი ვ. კაციტაძე.

კრებაზე განხილულ თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს თვითეულ სამუშაო ადგილზე შრომის ნაყოფიერების გადიდების კომპლექსური გეგმების შესაბამისად სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულონ ვადამდე, 25 დეკემბრისათვის, პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა კი 28 დეკემბრისათვის. დასახულია გეგმის გადამეტებით გამოშვებული ორი ვაგონი და ერთი მოტორვაგონიანი სექცია. გაადიდებენ წვეის ძრავების წარმოებას, რომელთა ათი ერეული გამოშვებული იქნება გეგმის გადამეტებით. კოლექტივი აპირებს დაზოგოს 230 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 150 ტონა პირობითი სათბობი. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 0,5 პროცენტით გაიზრდება. რაციონალურ წინადადებათა დანერგვა ქარხანას მისცემს სულ ცოტა 80 ათას მანეთს.

ვალდებულებებით გათვალისწინებულია აგრეთვე: საწარმოს მუშაკთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, კაპიტალური მშენებლობისა და საწარმოო ფართობების რეკონსტრუქციის საკითხები.

ჭიათურის ლენინის ორდენოსანი მარგანეცის ტრესტის კოლექტივი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს შეხვდა მნიშვნელოვანი შრომითი მიღწევებით. ვადამდე და გადაჭარბებით შესრულდა სოციალისტური ვალდებულებანი, წლიური გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 44 ათასი ტონა სასაქონლო პროდუქცია, აქედან 37,8 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი კონცენტრატი. პროგრამის გადაჭარბებით რეალიზებულია 1.693 ათასი მანეთის პროდუქცია, მიღებულია 700 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 3,4 პროცენტით გაიზარდა.

ტრესტის კოლექტივი მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოდა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროსა და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საიუბილეო საპატიო სიგელით. ახალი ითხეზისის მაღაროსამმართველოს კოლექტივს კი მიენიჭა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს საიუბილეო საპატიო ნიშანი. ორი სხვა მაღაროთსამმართველო დაჯილდოებულია საიუბილეო საპატიო სიგელებით.

ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ტრესტის მუშაკები კიდევ უფრო მეტი ენერგიით შრომობენ. მათ განიხილეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს იკისრონ ახალი სოციალისტური ვალდებულებანი. ეი უმნიშვნელოვანესი მათ შორის:

შეასრულონ სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა 26 დეკემბრისათვის; წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვან 20 ათასი ტონა სასაქონლო პროდუქცია, აქედან 12 ათასი ტონა მაღალი ხარისხისა. წლიური გეგმის გადამეტებით გაასაღონ 600 ათასი მანეთის პროდუქცია.

ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის, არსებული მოწყობილობის უფრო რაციონალურად გამოყენების და არამწარმოებლური მოცდენის ლიკვიდაციის გზით დასახულია გეგმასთან შედარებით, 1,5 პროცენტით გაადიდონ შრომის ნაყოფიერება.

ძირითადი ფონდების, მასალების უკეთ გამოყენების, ელექტროენერგიის ყაირათიანად ხარჯვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, რენტაბელობის გაზრდების შედეგად გათვალისწინებულია მიიღონ 150 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ვალდებულებებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ახალ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობა საქმიანობის გაფართოების, სრულყოფილი მექანიზმებისა და მანქანების დანერგვის, მუშაკთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებს.

მაღაროელები აპირებენ მომავალში კიდევ უფრო გაანმტკიცონ შრომის და საწარმოო დისციპლინა, არ დაუშვან მარცოწესრიგისა და კანონიერების დარღვევის შემთხვევები.

ჭიათურელებმა აღუთქვეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, რომ ისინი კვლავაც იქნებიან ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრების მონაწილეთა პირველ რიგებში. (საქინფორმი).

ქუთაისელ ავტომშენებელთა კოლექტივი მუდამ დგას პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლის ავანგარდში.

დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში შეხვდნენ ავტოქარხნელები ღირსშესანიშნავ თარიღს — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

ქარხნის კოლექტივმა ვადამდე, 25 დეკემბრისათვის შეასრულა ძირითად ნაკეთობათა გამოშვებისა და პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის წლიური გეგმა. სამრეწველო წარმოების მთელი მატება მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით. წინასაიუბილეო შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ საწარმოს კოლექტივი დაჯილდოეს საიუბილეო საპატიო ნიშნით.

ქარხნის მშრომელებმა, რომლებიც მაღალმა ჯილდომ აღაფრთოვანა, გადაწყვიტეს იკისრონ ახალი სოციალისტური ვალდებულებანი ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლისათვის. მათ ვალდებულება იკისრეს 1973 წლის სახელმწიფო გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის, გეგმის გადამეტებით გამოუშვან 1.500.000 მანეთის პროდუქცია და მოახდინონ მისი რეალიზაცია. პროდუქციის გამოშვების მთელი მატება უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

ავტოქარხნელები პირობას იძლევიან წლის დამლევისათვის დავალების გადამეტებით გამოუშვან ავტოსაწევრები, ნახევრადმისაბმელები და 300.000 მანეთის ავტომობილების სათადარიგო ნაწილები.

გადაწყვიტეს 1972 წელთან შედარებით 20 პროცენტით გაადიდონ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება.

თავის ვალდებულებებში საწარმოს კოლექტივი მიზნად ისახავს უზრუნველყოს ყველა სახის პროდუქციის რენტაბელობა, საგეგმო დავალებასთან შედარებით 300.000 მანეთით შეამციროს სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება, გასულ წელთან შედარებით 10 პროცენტით შეამციროს წუნით გამოწვეული დანაკარგები, დასახულია მიღებულ იქნას 400.000 მანეთი ზეგეგმითი მოგება.

დიდი ამოცანები დაისახეს საწარმოს რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა. ისინი პირობას იძლევიან დაუზოგონ მშობლიურ ქარხანას 600.000 მანეთი. გადაწყვეტილია მიღებულ იქნას კიდევ 150.000 მანეთი პირობითი წლიური ეკონომია წარმოებაში აგროტექნიკურ ღონისძიებათა დანერგვისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა განხორციელების გზით. გარდა ამისა, კოლექტივმა ვალდებულება იკისრა დაზოგოს 2.000.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ავტოქარხნელთა ახალ ვალდებულებებში გათვალისწინებულია გამოშვებულ იქნას ახალი საწევრების, ორ ჩარხსნელი უკანხიდანი ავტომანქანების ექსპერიმენტული პარტიები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აგრეთვე კადრების მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას. მიმდინარე წელს კვალიფიკაციას აიმაღლებს 1.880 მუშა და 230 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი. გარდა ამისა, გადაწყდა გატარდეს სამუშაოთა დიდი კომპლექსი ქარხნის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და მუშამოსამსახურეთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის.

ენგურჰესის მშენებლობაზე

ენგურჰესის მეცხრე ჩიჩაღლანი

ზუგდიდი. საახალწლოდ ახალი შრომითი გამარჯვება იზეიმეს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა. ამ დღეებში ელექტროდატვირთვა მიიღო № 4 ვარდნილმეხეის 20 ათასი კილოვატი სიმძლავრის № 2 ჰიდროტურბინამ. ეს რიგით მეცხრე ტურბინაა, რომლის ხაექსპლოატაციოდ გადაცემით მთლიანად დასრულდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები ენგურის ოთხივე ვარდნილ ჰიდროელექტროსადგურზე. ამჟამად ეს ოთხივე ჰიდროელექტროსადგური მთელი დატვირთვით მუშაობს.

ლ. ბარქაია,
„კომუნისტის“ საგუშაგოს უფროსი.

ქვეყნის მთავარი გამოფენის ჯილდოები

საქართველოს ბევრმა საწარმომ, დაწესებულებამ, სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა საიუბილეო 1972 წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე წარადგინა ნამუშევრები, რომლებიც დიდად საინტერესოა ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სპეციალისტებისათვის.

ბევრი მათგანი აღინიშნა გამოფენის სხვადასხვა ჯილდოთი.

მაგალითად, თემატური გამოფენის „მეცნიერება და ტექნიკა — სოფლის მეურნეობას“ პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოებულია საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი და მისი თერმოტატ მუშაკი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის კაკვასიური წაბლას ძროხის ჯიშის სრულყოფისა და ცხოველთა და ფრინველთა დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის უფექტიანი პრეპარატების შექმნისათვის.

ქიმიურ-თერაპევტული და ბიოლოგიურად მასტიმულირებელი პრეპარატების დასინთეზებისათვის, დამზადებისა და აპრობაციისათვის გამოფენის პირველი ხარისხის დიპლომითა და 12 მედლით დაჯილდოებულია საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის ქიმიურ-თერაპევტული და ბიოლოგიური პრეპარატების ლაბორატორიის ქარხანა თბილისის 132-ე და 38-ე საუნელო სკოლები დაჯილდოდა მეორე ხარისხის დიპლომებით. მთელი რიგი პედაგოგები და მოსწავლეები კი მედლებით დაჯილდოდნენ.

საქართველოს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების კინოსტუდიის ნამუშევარი „ჯუნა მშვენიერებისაკენ“ აღინიშნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მედლებით.

1972 საიუბილეო წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მედლებით დაჯილდოებულია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის 494 მოწინავე.

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის ქვეყნის მშრომელთა მზადების გასაშუქებლად დიდი მუშაობა გაწია რესპუბლიკურმა გაზეთმა „ზარია ვოსტოკა“. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარმა კომიტეტმა დაჯილდოვა საბჭოთა კავშირის მთელი რიგი ცენტრალური და რესპუბლიკური გაზეთები, რომელთა შორის არის გაზეთი „ზარია ვოსტოკაც“. მას მიენიჭა მეორე ხარისხის დიპლომი, წმ სამ მუშაკს კი — მედლები.

ა. მოზგანოვი,
სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ჯილდოების განყოფილების გამგე. (საქინფორმი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საჰაერო ხომალდის გაფაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ

ვიდა და საერთაშორისო ხაზებზე ფრენის უსაშიშროების გადიდების, საჰაერო ხომალდების მგზავრთა და ეკიპაჟების წევრთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ დედამიწაზე თუ ფრენის დროს საჰაერო ხომალდის გატაცება —

ისჯება თავისუფლების აკვეთით სამიდან ათ წლამდე ვადით.

დედამიწაზე ან ფრენის დროს საჰაერო ხომალდის გატაცება, ან ასეთი ხომალდის ხელში ჩაგდება გატაცების მიზნით, თუ გამოყენებულია ძალადობა ან მუქარა ან მოჰყვა საჰაერო ხომალდის ავარია ან სხვა ძმიმე შედეგები, —

ისჯება თავისუფლების აკვეთით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე ვადით და ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული მოქმედება, თუ ამან გამოიწვია ადამიანთა დაღუპვა ან სხეულის ძმიმე დაშავება,—

ისჯება თავისუფლების აკვეთით ტვიდან ოცი წლამდე ვადით და ქონების კონფისკაციით.

2. ამ ბრძანებულების 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა ბიმოზადების ან ჩადენის გაუცხადებლობა, —

ისჯება თავისუფლების აკვეთით სამ წლამდე ვადით ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთ წლამდე ვადით.

3. ამ ბრძანებულების 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა ბიმოზადების ან ჩადენის გაუცხადებლობა, —

ისჯება თავისუფლების აკვეთით ოთხ წლამდე ვადით ან გამასწორებელი სამუშაოებით ერთ წლამდე ვადით.

4. წინადადება მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს შეიტანონ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაში საჭირო დამატებანი ამ ბრძანებულების შესაბამისად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1973 წ. 3 იანვარი.

საახალწლო ნოგათეგი

□ „მთავართბილმშენის“ მე-14 ტრესტის (მმართველი გ. კვიტაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი გ. ჩეჩელაშვილი) მშენებლებმა ენერგეტიკული საიჯარო სამუშაოების წლიური გეგმა 21 დეკემბრისათვის გაანაღდეს. შესრულებულია 31.450.000 მანეთის სამუშაოები, რაც გეგმას აღემატება, გადაჭარბებით არის შესრულებული სამრეწველო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის რეალიზაციის დავალებაც.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და კარგი შრომითი წარმატებები მოიპოვეს № 2, 3, 6, 7, 8, 9, 10 სამშენებლო სამმართველოებმა.

□ ჭიათურა. მაღაროელებმა, რომლებიც უკრაინელ თანამოსაქმეებს ეჯიბრებიან, ახალი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს. ლენინის ორდენოსანმა ჭიათურის მარგანტრესტის კოლექტივმა მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის გეგმა 20 დეკემბრისათვის შეასრულა. აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ზეიმის დღეებში ჭიათურელებმა მიწის წიაღიდან გამოიღეს 150-მემილიონე ტონა მადანი. წლიური დავალების შესრულებაში თავი გამოიჩინეს ლენინის, კალინინის, ორჯონიკიძის სახელობის, ახალი ითხვისის მაღაროთა კოლექტივებმა. ისინი დიდი ხანია მარგანეცს იძლევიან მომავალი წლის ანგარიშში.

ჭიათურელებს საიუბილეო შეჯიბრებით ნაკისრი ჰქონდათ წლიური გეგმის გადამეტებით მეტალურგიული ქარხნებისათვის გაეგზავნათ 22 ათასი ტონა სასაქონლო მარგანეცი. მაღაროელებმა ეს ვალდებულებაც ხუთი დღით ადრე შეასრულეს და განაგრძობენ შრომას 1973 წლის ანგარიშში.

ᲛᲐᲦᲚᲘ ᲮᲘᲚᲓᲝ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐ

ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელის გადაცემა თბილისის სტალინის სახელობის ელექტროგადამწმენდელი ქარხნის კოლექტივისათვის.

საზეიმო კრება გახსნა პარტიული კომიტეტის მდივანმა ლ. ვეფხვაძემ.

საპატიო ჯილდო კოლექტივს გადასცა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. გოლაშვილმა, რომელმაც ელექტროგადამწმენდელებს გულთბილად მიულოცა მაღალი შრომითი მაჩვენებლები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საიუბილეო საპატიო სიგელი მიიღო ქარხნის უფროსმა ა. მასხარაშვილმა, რომელმაც მხურვალე მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას და განაცხადა, რომ კოლექტივი კიდევ უფრო უკეთ იმუშავებს.

კრებაზე გამოვიდნენ ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. გაჩეჩილაძე, ელექტროსამანქანათ საამქროს უფროსი ვ. კაციტაძე, საწარმოს მთავარი კონსტრუქტორი მ. კბილაძე და სხვები, რომლებმაც დიდი მადლობა გადაიხადეს საპატიო ჯილდოსათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებით თბილისის ტელეგრაფის აპარატურის ქარხანა დაჯილდოებულია საიუბილეო საპატიო სიგელით.

მუშათა, ინჟინერთა და მოსამსახურეთა საზეიმო კრება შესავალი სიტყვით გახსნა საწარმოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ზ. ნაზარიევლმა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ შ. კიკნაძემ გულითადად მიულოცა ქარხნის კოლექტივს, რომელმაც საუკეთესო შედეგები მოიპოვა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში, და გადასცა საპატიო ჯილდო.

მაღალი ჯილდოს მიღებისას ქარხნის დირექტორმა ბ. თოთლაძემ მხურვალე მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის.

კრებაზე გამოვიდნენ საინსტრუმენტო საამქროს მფარავი ვ. არინინი, მექანიკური საამქროს უფროსი რ. საკაკანი, კომკავშირულ-ახალგაზრდული საამქროს საამქროს პარტიული ბიუროს მდივანი თ. შჩერბაკოვი და სხვები, რომლებმაც პირობა დადეს, რომ ხუთწლედის მესამე წლის ქარხნის კოლექტივი უფრო მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მოიპოვებს.

რესპუბლიკის ერთ-ერთ უდიდეს სამეცნიერო დაწესებულებაში — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში საზეიმო კრება გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ი. აბაშიძემ.

ინსტიტუტის კოლექტივს მაღალი ჯილდო გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი და საუნაგო სპეციალური განათლების მინისტრმა გ. ჯიბლაძემ.

კოლექტივის მუშაობის დიდად დაფასებისათვის მადლობა გადაიხადეს ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა გ. წერეთელმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჯიქიამ, უფროსმა მეცნიერმა-თანამშრომელმა მ. ნედოსპასოვმა და სხვებმა.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის კოლექტივს მაღალი ჯილდო გულთბილად მიულოცეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეხათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ვ. ფანჩვიძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. სტურუამ და სხვებმა.

ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელი გადასცა ცერმენონა მეცხრე საბავშვო პოლიკლინიკის კოლექტივისათვის.

საპატიო ჯილდო კოლექტივს გადასცა საქართველოს სსრ ჯანდაცვის მინისტრმა ვ. ბოჭორიშვილმა.

ჩაიბარა რა საპატიო ჯილდო პედიატრიული განყოფილების გამგემ ვ. შედელაშვილმა, ქირურგმა მ. ტურაზაშვილმა, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა მედიცინის დამ ე. თალაკვაძემ და პოლიკლინიკის თავმჯდომარემ ექიმმა ლ. უბერიმ მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის და აღუთქვეს, რომ კვლავაც ამრავლებენ წარმატებებს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაში.

ᲨᲘᲐᲜᲝᲠᲐ, ახალი ითხვისის მაღაროთსამმართველოს კოლექტივი დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს საიუბილეო საპატიო ნიშნით. გაიმართა მუშა-მოსამსახურეთა კრება. მაღალი ჯილდო მაღაროთსამმართველოს დირექტორს რ. ხარშილაძეს საზეიმო ვითარებაში გადასცა საქართველოს სსრ კავშირის მინისტრმა ზ. ჩხეიძემ.

პარტიისა და მთავრობის მიერ საწარმოს კოლექტივის ესოდენ დიდი დაფასებისათვის სამადლობელი სიტყვები წარმოთქვეს მაღაროთსამმართველოს ელმავლის მემანქანემ გ. ლაბაძემ, ნოვატორმა გვირაბგამყვანმა გ. ბაქრაძემ, მადნის მოწინავე მტვირთავმა ვ. გოგატიშვილმა.

ᲮᲐᲨᲣᲠᲘ, ხაოსმრავალ საზეიმო კრებაზე ხაშურის სატვირთო ავტოსაწარმოს კოლექტივს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრმა თ. დავითაშვილმა გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს საიუბილეო საპატიო ნიშანი.

სიტყვებით გამოვიდნენ მოწინავე მძღოლები ს. აბრამაშვილი, შ. მახათაძე, ი. ჭადაშვილი.

ᲑᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ საბჭოთა კავშირის მენდელეევის სახელობის მეტეოროლოგიის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტის თბილისის ფილიალის კოლექტივის საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს საიუბილეო საპატიო სიგელის გადაცემას.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანმა გ. კალანდაძემ.

მაღალი ჯილდოს გადაცემისას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ ო. ჩერქეზიამ მხურვალედ მიულოცა ინსტიტუტის კოლექტივს მაღალი ჯილდო.

მაღალი ჯილდოს პასუხად ინსტიტუტის დირექტორმა გ. ზედგინიძემ, შემდეგებელმა ა. ამირასაშვილმა, კონსტრუქტორმა გ. შელიავამ, ლაბორატორიის გამგემ ო. დალაქიშვილმა, ლაბორატორიის გამგის მოადგილემ ვ. ლუკიანოვამ პირობა დადეს, რომ კვლავაც გაამრავლებენ შრომითს წარმატებებს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ინსტიტუტის კოლექტივმა ახალი გადიდებული ვალდებულებანი იკისრა 1973 წლისათვის.

რესპუბლიკის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების საზეიმო კრებებზე იმ კოლექტივებს, რომლებსაც მიაღწიეს საუკეთესო შედეგებს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, გადასცემენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს საიუბილეო საპატიო ნიშნებს.

ზესტაფონის რაიონული სამრეწველო კომბინატის კოლექტივის კრებაზე კომბინატის დირექტორს დ. გაჩეჩილაძეს საპატიო ჯილდო გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგემ ვ. ღუდუშაურმა. დაჯილდოებულთ მიესალმა საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი შ. ვერულაშვილი.

ᲐᲛᲮ. ღუდუშაურმა საიუბილეო საპატიო ნიშანი გადასცა აგრეთვე თერჯოლის გეოლოგიურ-საძიებო პარტიის უფროსს ბ. გოგუაძეს. ამ პარტიის კოლექტივმა მნიშვნელოვანი შრომითი წარმატებანი მოიპოვა. საზეიმო კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ყიფიანმა, საქართველოს საწარმოო გეოლოგიური სამმართველოს უფროსმა ბ. გუჯეჯიანმა, სოფელ ზეკრის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ბოჭორიშვილმა, ბურღვის ოსტატმა ს. ანთიძემ და სხვებმა.

საპატიო ჯილდო მიენიჭა აგრეთვე წულუკიძის აბრეშუმძაფსაღები ფაბრიკის კოლექტივს. საწარმოს დირექტორს ვ. ბეჩიძეს ჯილდო გადასცა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრმა მ. მეგრელიძემ. კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს კომპარტიის წულუკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. მელქაძემ, მოწინავე მუშამ ნ. ტაბიძემ, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა ს. ჭავჭანიძემ და სხვებმა. (საქინფორმი).

ᲠᲝᲪᲐ ᲨᲔᲥᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘᲐ

ᲓᲛᲐᲜᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲙᲚᲝ ᲤᲒᲘᲚᲐᲓᲝᲑᲐᲛ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ-ᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ, ᲛᲐᲦᲐᲚᲘᲐ ᲗᲕᲘᲗᲓᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲐᲒᲠᲝᲜᲝᲛᲘᲗᲐᲜ, იგივე პარტიული ორგანიზაციის მდივან თ. ადეიშვილთან, რომელიც ამავე დროს ჯავახის XVII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოვალეობასაც ასრულებს, აღელვებული შემოვიდა თერმის ბრიგადირი ა. ჯინჭარაშვილი.

— კი, მაგრამ ხომ მოვილაპარაკეთ, რომ იმ თიხას ხბოებს საკვებად გამოვიყენებდით, — უკმაყოფილო ტონით წარმოთქვა მან. — ისიც კარგად მოგახსენებთ, რომ დანარჩენი თიხა ხბოებისათვის არ ვარგა. თქვენ აღიქვი და სხვა მიმართულებით გიშვრით ხარისხიანი საკვები. რა ვაჭამოთ ახლა ლიკოლებს?

კოლმეურნეობის თავკაცი თავის მართლებას შეუდგა, მაგრამ ყოველივე ეს ფასეულობა მათ ადგილიკენ ეს ფასეულობა გამოდგა. საქმე შემდეგში: თავიდანვე კოლმეურნეობამ არ იზრუნა მტკიცე საკვების ბაზის შექმნისათვის. არსებული სარჩო შუა გზაზე გაუთავდათ და გამოსაყალი იმაში ნახეს, რომ რიგით კოლმეურნეებს დაესესხნენ. ბევრი დრო კოლმეურნეებმა მოითხოვეს გასესხებული საკვები. მიტი გამოსაყალი არ იყო და კოლმეურნეობის მესვეურნი იძულებული გახდნენ ხბოებისათვის განკუთვნილი, სპეციალურად დამზადებული თიხა ბალის ანგარიშში გაეშვათ.

იყო დრო, როცა ჯავახის კოლმეურნეობის პირუტყვი განთქმული იო ოთ მთელ რაიონში. ეარი მოვლა-პატრონობით ამაყობ ძროხები რძეს უხვად იძლევდნენ. ბოლო ხანებში ეი მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, საქმე გაუარესება დაიტყო. შარშანწინ ამ მეცხოველეობიდან 3.236 მანეთი ზარალი ნახეს. ეს კასაგებია. ძროხებს საკვები ალდათ. გამზდრები იყვნენ. მაშასადამე, პროდუქტიულობაზეც ლაპარაკი ზედმეტია.

გასულ წელს კოლმეურნეობამ თითქოს გადთვალისწინა წინა წლის მწარე გაკვეთილი და საკვები კეგმაზე მეტი დაადგოდა. მიუხედავად ამისა წველადობა მაინც შემცირდა. წინა წელთან შედარებით თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 11 თვეში მიღებულია 353 კილოგრამით ნაკლები რძე. საერთო ჯამში ეს 37.167 კილოგრამს შეადგენს. ასევე დიდი ჩამორჩენაა ხორცის წარმოებაშიც. კეგმით გათვალისწინებული 428 ცენტნერის ნაცვლად რეალიზებულია 361,7 ცენტნერი ხორცი.

კოლმეურნეობაში დამაფიქრებელია საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სხვა ციფრებიც. არ სრულდება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის კეგმა. 146 ძროხის ნაცვლად ჰყავთ 135. აქედან ყველა როდია მაღალპროდუქტიული. 12 ძროხა გადაბერებული, მაგრამ იმის გამო, რომ არა ჰყავთ შემცვლელი, ისინი ვერ გამოეყავთ საერთო ჯოგიდან. ამასთან ერთად ჯავახში ნაკლებად ზრუნავენ პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის.

ბოლო დროს რატომღაც უპატრონოდ დარჩენილა ხელოვნური დათესლა. ამას ადგილზე იმით ხსნიან, რომ რამდენიმე თვეა კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი სხვადასხვა მიზეზთა გამო ეარ ჩანს. ეარი ეარ, მოვლა-პატრონობით ამაყი ძროხები რძეს უხვად იძლევიდნენ. ბოლო ხანებში კი მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, საქმე გაუარესება დაიტყო. შარშანწინ ამ მეცხოველეობიდან 3.236 მანეთი ზარალი ნახეს. ეს კასაგებია. ძროხებს საკვები ალდათ. გამზდრები იყვნენ. მაშასადამე, პროდუქტიულობაზეც ლაპარაკი ზედმეტია.

გასულ წელს კოლმეურნეობამ თითქოს გადთვალისწინა წინა წლის მწარე გაკვეთილი და საკვები კეგმაზე მეტი დაადგოდა. მიუხედავად ამისა წველადობა მაინც შემცირდა. წინა წელთან შედარებით თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 11 თვეში მიღებულია 353 კილოგრამით ნაკლები რძე. საერთო ჯამში ეს 37.167 კილოგრამს შეადგენს. ასევე დიდი ჩამორჩენაა ხორცის წარმოებაშიც. კეგმით გათვალისწინებული 428 ცენტნერის ნაცვლად რეალიზებულია 361,7 ცენტნერი ხორცი.

კოლმეურნეობაში დამაფიქრებელია საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სხვა ციფრებიც. არ სრულდება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის კეგმა. 146 ძროხის ნაცვლად ჰყავთ 135. აქედან ყველა როდია მაღალპროდუქტიული. 12 ძროხა გადაბერებული, მაგრამ იმის გამო, რომ არა ჰყავთ შემცვლელი, ისინი ვერ გამოეყავთ საერთო ჯოგიდან. ამასთან ერთად ჯავახში ნაკლებად ზრუნავენ პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის.

ბოლო დროს რატომღაც უპატრონოდ დარჩენილა ხელოვნური დათესლა. ამას ადგილზე იმით ხსნიან, რომ რამდენიმე თვეა კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი სხვადასხვა მიზეზთა გამო ეარ ჩანს. ეარი ეარ, მოვლა-პატრონობით ამაყი ძროხები რძეს უხვად იძლევიდნენ. ბოლო ხანებში კი მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, საქმე გაუარესება დაიტყო. შარშანწინ ამ მეცხოველეობიდან 3.236 მანეთი ზარალი ნახეს. ეს კასაგებია. ძროხებს საკვები ალდათ. გამზდრები იყვნენ. მაშასადამე, პროდუქტიულობაზეც ლაპარაკი ზედმეტია.

— კი, მაგრამ ხომ მოვილაპარაკეთ, რომ იმ თიხას ხბოებს საკვებად გამოვიყენებდით, — უკმაყოფილო ტონით წარმოთქვა მან. — ისიც კარგად მოგახსენებთ, რომ დანარჩენი თიხა ხბოებისათვის არ ვარგა. თქვენ აღიქვი და სხვა მიმართულებით გიშვრით ხარისხიანი საკვები. რა ვაჭამოთ ახლა ლიკოლებს?

კოლმეურნეობის თავკაცი თავის მართლებას შეუდგა, მაგრამ ყოველივე ეს ფასეულობა გამოდგა. საქმე შემდეგში: თავიდანვე კოლმეურნეობამ არ იზრუნა მტკიცე საკვების ბაზის შექმნისათვის. არსებული სარჩო შუა გზაზე გაუთავდათ და გამოსაყალი იმაში ნახეს, რომ რიგით კოლმეურნეებს დაესესხნენ. ბევრი დრო კოლმეურნეებმა მოითხოვეს დასესხებული საკვები. მიტი გამოსაყალი არ იყო და კოლმეურნეობის მესვეურნი იძულებული გახდნენ ხბოებისათვის განკუთვნილი, სპეციალურად დამზადებული თიხა ბალის ანგარიშში გაეშვათ.

იყო დრო, როცა ჯავახის კოლმეურნეობის პირუტყვი განთქმული იო ოთ მთელ რაიონში. ეარი მოვლა-პატრონობით ამაყი ძროხები რძეს უხვად იძლევიდნენ. ბოლო ხანებში კი მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, საქმე გაუარესება დაიტყო. შარშანწინ ამ მეცხოველეობიდან 3.236 მანეთი ზარალი ნახეს. ეს კასაგებია. ძროხებს საკვები ალდათ. გამზდრები იყვნენ. მაშასადამე, პროდუქტიულობაზეც ლაპარაკი ზედმეტია.

ᲒᲐᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲙᲘᲡᲠᲣᲚᲝᲑᲔᲑᲡ

ᲓᲣᲨᲔᲗᲘᲡ რაიონის სოფელ ფასანაურის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის შრომიმელებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება და გადიდებული ვალდებულებები იკისრეს მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ზემოთ — მარცხნიდან მარჯვნივ: მწველავი მ. გვრატიშვილი. დუშეთის რაიონის მთავარი ვეტექიმი ვ. მელიქიშვილი, სოფელ ფასანაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. ტარიელაშვილი, მეცხოველეთა ბრიგადირი ი. აფციაური და მწველავი თ. დავითური განიხილავენ მეცხოველეთა წლის შედეგებს. ქვემოთ — კოლმეურნეობის მოწინავე მწველავი თამარ ჭავთარაძე.

ი. დავითაშვილისა და ს. თევზაძის ფოტო, (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲨᲔᲜᲓᲐ, ᲨᲔᲜᲓᲐ... ᲐᲠ ᲐᲨᲔᲜᲓᲐ

„ᲐᲠᲐᲨᲔᲜᲓᲐ“. ამ სახელწოდებით საქართველოში რამდენიმე სოფელი და ისტორიული ციხე-სიმაგრეა ცნობილი. თუ რატომ ეწოდა მათ ეს სახელი, არ საჭიროებს განმარტებას. გვაქვს კიდევ ქართულ ხალხურ ლექსში ერთი ასეთი სტროფი — „შენდა, შენდა... არ აშენდა“. ესეც საკუთრივ გარკვეულ შინაარსს გადმოსცემს. მაგრამ დღეისათვის ეს სახელიც და ლექსის სიტყვებიც შეაღლოა ისე აღარ შეეფერებოდეს იმ ისტორიულ ძეგლებსა და სოფლებს, როგორც, მაგალითად, ვალეს გაჯის ქარხანას. რადგან ის სოფლებიც და ისტორიული ციხე-სიმაგრენიც თავის დროზე მაინც აშენდნენ და დამშენდნენ, ცხოვრების გამოცდასაც გაუძლეს. ვალეს გაჯის ქარხნის ამენებას კი არ იქნა და არ დაადგა საშველი...

ქარხნის მშენებლობა ჯერ კიდევ 1967 წელს დაიწყეს. მისი საწარმოო სიმძლავრე იქნება 50 ათასი ტონა გაჯი წელიწადში. ამ სიმძლავრის საწარმოს მშენებლობა დამტკიცებული სამშენებლო ნორმების მიხედვით 20 თვეში უნდა დამთავრდეს. ესე იგი, მისი ამენებისათვის ორი წელიც არ არის საკმარი. მაგრამ აგერ უკვე მეექვსე წელია ქარხნის მშენებლობა ჭიანურდება.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ მშენებლები ჩაეკიდნენ სამშენებლო ნორმებით გათვალისწინებულ გრაფიკში. მაშინ ხომ ქარხანა საექსპლოატაციოდ გადაეცემოდა ჯერ კიდევ 1969 წლისათვის და დღეიდან ჩვენი ქვეყნის სამშენებლო ორგანიზაციებს მიაწვდიდა 200 ათას ტონამდე სამშენებლო გაჯს, რითაც ხელს შეუწყობდა ჩვენი სოფლებისა და ქალაქების მშენებლობის საქმეს.

მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ამიტომ სჯობს თავი დავანებოთ ოცნებაა და ვკითხოთ თვითონ მშენებლებს, როდისთვის შეეძლოთ ამ ქარხნის მშენებლობის დამთავრება?

მოიჯარადრე ორგანიზაციის — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრუსტის ახალციხის 134-ე მოძრავი მექანიზებული კოლონის (უფროსი გ. სატიაშვილი, მთავარი ინჟინერი გ. კოპაძე) ხელმძღვანელები აცხობენ, დამკვეთ ორგანიზაციას, ესე იგი ახალციხის რაისაბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატს (დირექტორი ვ. ხაბაროვი, მთავარი ინჟინერი ს. დურგლიშვილი) და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, თავის დროზე რომ წარმოუდგინათ ქარხნის მშენებლობისათვის საჭირო ყველა სამუშაო ნახაზი და მოწყობილობა, ქარხნის მშენებლობას დიდი ხნის წინათ დავამთავრებდით.

მშენებლებს მართლაც, ჯერ კიდევ 1970 წლისათვის ქქონდათ დაგეგმილი ამ ქარხნის დამთავრება. მაგრამ აბა როგორ შეიძლებოდა გეგმის განსორციელება, როცა ზოგიერთი საჭიროა ნახაზი, მაგალითად, საკომპრესოროს, სამაზუთე მეურნეობისა და სხვ., მათ მხოლოდ 1972 წლისათვის მიიღეს, ხოლო ზოგიერთი ისეთი მოწყობილობა კი, როგორიც არის გაჯის საფქვავი წისქვილი, ჯერაც არ არის ობიექტზე მოტანილი!

მშენებელთა ეს საკვედური დამკვეთი ორგანიზაციისადმი სწორია, მაგრამ სინანულია, რას გვეტყვიან თვით მშენებლები იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ 1968 წელს მიღებული 50 ათასი მანეთის მოწყობილობიდან 1972 წლის ბოლოსათვის დამონტაჟებული იყო მხოლოდ 12 ათასი მანეთის მოწყობილობა. დანარჩენი კი ისევ ღია ცისქვეშ ეყარა და იჟანგებოდა.

მშენებლების მიმართ თავის მხრივ საბართლიან საკვედურს გამოთქვამენ ქვემოიჯარადრე ორგანიზაციის — რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის ახალციხის სამონტაჟო უბნის (უფროსი ს. მურადიანი) მუშაკები იმის გამო, რომ მშენებლებმა მიერ ჩასხმული ზოგიერთი დანადგარის რკინაბეტონის საძირკველი არაზუსტია, არ შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულს და საჭიროდგინდა ძირკვლის ხელახლა ამოღება, ეს კი აჭიანურებს სამონტაჟო სამუშაოებს, ხოლო ზოგიერთი ისეთი მოწყობილობის, როგორიც არის ელევატორი, რომელიც გამოსაწვავ საამქროდან გამომწვარი გაჯი უნდა მიაწოდოს საფქვავ საამქროს, მემონტაჟეები ვერ ამონტაჟებენ, რადგან გამოსაწვავ საამქროსა და საფქვავ საამქროს შორის ზუსტად არ არის დაცული პროექტით გათვალისწინებული მანძილი (?!).

როგორც მშენებლები, ისე მემონტაჟენი უსაყვედურებენ აგრეთვე ქარხნის დამპროექტებელ ორგანიზაციას — საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საპროექტო კანტორას, რომ ბევრი შეცდომაა, დამვეტული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში.

ქარხნის მშენებლობა, რომ დაგვიანებულია, მხოლოდ რამდენიმე კაცი მუშაობდა. ისიც დამხმარე უბნებზე, ძირითად უბნებზე კი მშენებლები არ ჩანდნენ. სამუშაოთა მწარმოებელმა გ. ხართიკაშვილმა შემოგვიჩივლა, რომ ქარხნის მშენებლობის ძირითადი სამუშაოები შეჩერებულია სათანადო ლითონის უქონლობის გამო. ესეც ხომ დამკვეთი ორგანიზაციის ბრალი არ არის? რა უყვეს ლითონს, რომელიც მიიღეს ვალეს გაჯის ქარხნის მშენებლობისათვის? ან იქნებ სულაც არ მიუღიათ ეს ლითონი? თუ ეს ასეა, მაშინ გვინდა ვკითხოთ რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის ხელმძღვანელებს, როცა 134-ე მოძრავი მექანიზებული კოლონის მშენებლებს 1970 წლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო გეგმაში ჩაუსვეს ვალეს გაჯის ქარხნის მშენებლობის დამთავრება, რას ფიქრობდნენ? ნუთუ არ იცოდნენ, რომ ულითონოდ ქარხნის აშენება არ შეიძლებოდა? ნუთუ ვერც 1971 წელს და ვერც შარშან მიხვდნენ ამას, როცა გეგმავდნენ ქარხნის დამთავრებას ლითონს კი არ აწვდიდნენ?

სხვათა შორის, ახალციხის 134-ე მოძრავი მექანიზებული კოლონის 1972 წლის კვარტალურ სამშენებლო-სამონტაჟო-სამუშაო გეგმაში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 12 ტრესტის მმართველის ვ. იაკობაშვილის მიერ, ჩვენ წაკაწყდით ერთ ასეთ კურიოზულ ფაქტს. 30 ნარტისათვის დამტკიცებული გეგმის მიხედვით ვალეს გაჯის ქარხნის მშენებლობაზე პირველ კვარტალში უნდა შეესრულებინათ 10 ათასი მანეთის სამუშაო. ამ თანხიდან მშენებლებმა ფაქტიურად აითვისეს მხოლოდ 3 ათასი მანეთი. ლოგიკურად მოსალოდნელი იყო, რომ დარჩენილი 7 ათასი მანეთის სამუშაოს გაანაწილებდნენ მეორე-მესამე და მეოთხე კვარტალებზე და მოსთხოვდნენ მშენებლებს, მის უთუო შესრულებას, რათა, როგორც გათვალისწინებული იყო, წლის ბოლომდე მოესწროთ დაგეგმილი სამუშაოების დამთავრება. მაგრამ მოხდა პირიქით, 3 მაისს დამტკიცებული სამუშაო გეგმით მესამე და მეოთხე კვარტალში გათვალისწინებული შესასრულებელი სამუშაოები შემცირეს, გადმოიტანეს პირველ კვარტალში (?!) და 24 ათას მანეთამდე გაზარდეს I კვარტალში ასათვისებელი თანხა! იბადება კითხვა, 3 მაისისათვის პირველი კვარტალი ხომ უკვე გასული პერიოდია, მაშ როგორღა შეიძლებოდა პირველ კვარტალში ასათვისებელი თანხის გადიდება, მაშინ როცა ის, რაც ადრე ქქონდათ დაგეგმილი, 30 პროცენტითაც არ იყო ათვისებული? ეს ხომ იმას ნიშნავდა, რომ ტრესტის მმართველი პატივცემული ვ. იაკობაშვილი ხელს აწერდა მშენებლობის ჩაშლის გეგმას და არა მისი დამთავრების გეგმას. ან იქნებ ეგონთ, რომ ოთხი თვით უკან დააბრუნებენ ეამთასვლას და 3 მაისისათვის კვლავ თავიდან დაიწყებდნენ 1972 წლის პირველ კვარტალს?

აი ასეთი უაზრო გეგმებით ხელმძღვანელობდნენ აქ. ალბათ ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ვალეს გაჯის ქარხნის მშენებლობა არც 1972 წელს დამთავრდა.

ვალეს გაჯის ქარხნის მშენებლობის ასეთი დაუდეგარი გეგმიანურებიდან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეგვიძლია, რომ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს უკეთესად ალვთ მიტოვებული ეს ობიექტი. უფრო მეტიც, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს და ახალციხის რაიონის ადგილობრივ მრეწველობის კომბინატს ისიც კი დაავიწყდათ, რომ ქარხანაში დასამონტაჟებლად მოეტანათ გაჯის საფქვავი მოწყობილობა, ნეხვქვილი, ფრომლიც სოდაც შეუძლებელია ქარხნის მწყობრში ჩადგომა. სამაგიეროდ ქარხანას დაუგეგმეს პროდუქციის გამოშვება (?!).

ჩვენ გვაჩვენეს ამ დაუმთავრებელი ქარხნის კვარტალების მიხედვით შედგენილი საწარმოო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 1972 წლის 20 იანვარს ახალციხის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის დირექტორის ვ. ხაბაროვის მიერ. ამ გეგმის თანახმად ქარხანას 1972 წლის II კვარტალში უნდა გამოეშვა 10 ათასი ტონა გაჯი, III კვარტალში — 15 ათასი ტონა, IV კვარტალში — 15 ათასი ტონა, ე. ი. სულ წლის ბოლომდე 40 ათასი ტონა.

განა ეს სასაცილო არ არის? სწორედ ამაზეა ნათქვამი, ბავშვი ჯერ არ დაბადებულიყო და აბრამს არქმევდნენო. ხომ არ აჯობებდა აქ დაუფიქრებლად შედგენილი გეგმის ნაცვლად ქარხნისათვის გაჯის საფქვავი მოწყობილობა მოეტანათ და მისი დროულად დამონტაჟებისათვის ეზრუნათ?

კაცმა რომ თქვას, ამ მეტად გაჭიანურებულ საქმეში მშენებლებსაც მიუღვიათ ბრალი და აბა რატომ: თავდაპირველად ე. ი. 1967-1968 წლებში ქარხანაში უნდა დამონტაჟებინათ ბურთულოვანი წისქვილი, რომელიც დღემდე ალბათ ქარხნის მშენებლობაზე გაწეულ ხარჯებსაც ანაზღაურებდა და გარკვეულ მოგებასაც მისცემდა. მაგრამ მშენებლებმა თავიდანვე ისეთი ნელი ტემპი აიღეს, რომ ვიდრე ბურთულოვან წისქვილს დამონტაჟებდნენ, იგი მორალურად გაკვდა. საჭირო გახდა მისი ახალი წისქვილით შეცვლა, რასაც, რა თქმა უნდა, მოჰყვა სამუშაო ნახაზების გადაკეთება, ახალი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების შედგენა და მშენებლობის თვითღირებულების გადიდება. მაგრამ ეს კიდევ არაფერია. თუ ამ ახალ წისქვილს ოდესმე დამონტაჟება ეღირსა, ის მაინც შეძლებს ამ ძვირადღირებული მშენებლობის ხარჯების დაფარვას. მ

მშვიდობისათვის

საზღვარგარეთის პრესა, რადიო და ტელევიზია ვრცლად აშუქებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგანგებო ჯალსის მილოცვას საბჭოთა ხალხისადმი.

ვარშავა. გაზეთები „ეფიე ვარშავი“, „ეფოლნეკ ვოლნოსტი“ და „ტრიბუნა მაზოვეცკა“ თვალსაჩინო ადგილს აქცეყნებენ საბჭოთა ხალხისადმი საახალწლო მილოცვას, რომლითაც ტელევიზიასა და რადიოში გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

ისინი ხაზს უსვამენ ა. ნ. კოსიგინის სიტყვებს, რომ 1972 წელს ახასიათებდა სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცება, დიდი წარმატებები სკკპ XXIV ყრილობის მიერ წამოყენებული მშვიდობის პროგრამის განხორციელებაში.

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მილოცნობით მოქალაქემ დიდი ყურადღებით მოისმინა შინაარსი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საახალწლო მისალმებისა საბჭოთა ხალხისადმი, რომელიც ჩეხოსლოვაკიის რადიომ და ტელევიზიამ გადმოსცეს.

საბჭოთა ხალხისადმი მისალმება, რომელშიც მოცემულია სსრ კავშირის ნახევარი საუკუნის იუბილეს წელს საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა დიდებული სურათი, დასახულია მომავლის პერსპექტივები, „სატელევიზიო გაზეთის“ გამოშვების ცენტრალური თემა გახდა.

კომენტატორები ხაზს უსვამენ, კერძოდ, საახალწლო მილოცვის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ 1973 წელი აღინიშნება ახალი გამარჯვებებით მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ეკონომიკის ყველა დარგის განვითარებაში, კულტურისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

ბერლინი. „საბჭოთა ხალხი კარგი წარმატებებით იწყებს ახალი ამოცანების გადაჭრას“ — ასეთი სათაურით გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ აქვეყნებს საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საახალწლო მილოცვის სრულ ტექსტს.

დამთავრებული წელი დახასიათებულია, როგორც ღირსშესანიშნავი საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიაში, რომლის გვირგვინად გახდა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმი, წერს გაზეთი „ბერლინერ ციტუნგი“, როცა აშუქებს საახალწლო მილოცვას.

ლონდონი. ინგლისის პრესა კომენტარს უძღვნის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საახალწლო მილოცვას საბჭოთა ხალხისადმი.

გაზეთი „მორნინგ სტარი“ ხაზს უსვამს ა. ნ. კოსიგინის გამოსვლის იმ ნაწილს, სადაც ლაპარაკია ვიეტნამში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. „საბჭოთა ხალხის სახელით, — წერს გაზეთი, — ა. ნ. კოსიგინმა მოითხოვა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელი მოაწეროს შეთანხმებას ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ. მან განაცხადა, რომ საბჭოთა ხალხი გულისწყრომით გმობს იმპერიალისტების ყაჩაღურ აქტებს ვიეტნამში“.

ნიუ-იორკი. აშუქებს რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მილოცვას, გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის დაგმობას.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტოს მოჰყავს ა. ნ. კოსიგინის სიტყვები, რომ საბჭოთა ადამიანები გმობენ იმპერიალიზმის ავაზაკურ აქტებს ვიეტნამში, ხოლოდარობას უცხადებენ ყველა ხალხს, რომლებიც დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძვიან.

საგენტო ხაზს უსვამს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს უსწრაფესად მოაწეროს ხელი შეთანხმებას ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ.

პარიზი. „ალეჭსი კოსიგინმა, — აღნიშნავს ფრანს პრესის საგენტო, — გულისწყრომით დაგმო ამერიკელების მიერ ვიეტნამის დაბომბვა და მოითხოვა, რომ შეერთებულმა შტატებმა უსწრაფესად მოაწეროს ხელი შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“.

საგენტო მილოცვის ტექსტიდან გამოყოფს იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ 1972 წელი ისტორიაში დარჩება, როგორც სსრ კავშირის ორმოცდაათი წლისთავის წელი.

(საკდესი. 3 იანვარი).

გაუმარჯოს მეგობრობას!

ორ წელიწადს გადიოდა საშეცნიერო სტაჟირებას საბჭოთა კავშირში გეოგრაფი ზორეული ჩილედან, ვალპარაისოს უნივერსიტეტის მასწავლებელი გუსტავო მერკადო. სტაჟირების ბოლო მონაკვეთი მან საქართველოში გაიარა. იგი გაეცნო მაღალმთიანს თეოფანე დავითაიას მიერ აგრომეტეოროლოგიური ბასალების დამუშავების მეთოდიკას, რომლის ათვისება მას საშუალებას მისცემს შეისწავლოს ჩილეს აგროკლიმატური რესურსები. მათი უფრო რაციონალურად გამოყენების მიზნით.

აღსანიშნავია, რომ იგი პირველი იქნება, ვინც აგროკლიმატოლოგიის საკითხებზე იმუშავებს ჩილეში.

სამშობლოში გამგზავრებამწინ გუსტავო მერკადომ განაცხადა:

— ჩვენი ქვეყანა არც ისე დიდი ხნის წინათ დაადგა ანტიიმპერიალისტური პოლიტიკისა და სოციალური პროგრამის გზას. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა გვაქვს გადასაჭრელი. გვჭირდება ეროვნული კადრები, კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც საიმედოდ გაუძღვებიან ქვეყნის ეკონომიკას. საბჭოთა კავშირში ჩემი ჩამოსვლის მიზანიც ეს იყო — დავუფლებოდი მეცნიერების უახლეს მიღწევებს აგროკლიმატოლოგიაში.

საქართველოში ჩამოსვლამდე სტაჟირებას გავდიოდი მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. გარდა მოსკოვისა, ვიყავი ლენინგრადში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ტაშკენტში.

სტაჟირების ბოლო მონაკვეთი საქართველოში გავატარე. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე შორის კარგად არის ცნობილი აკადემიკოს დავითაიას სახელი, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, თუ ოდესმე მისი ხელმძღვანელობით მუშაობის საშუალება მომეცემოდა. მანვე შეადგინა საქართველოში ჩემი მუშაობის პროგრამა. დიდი მადლობა ამ ყურადღებისათვის. პროგრამის უშუალო განხორციელებაში უდიდესი დახმარება გამიწია ჩემმა ქართველმა კოლეგამ, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა გივი გიგუაშ. მადლობელი ვარ ეკონომიკის ინსტიტუტის თანამშრომლებისა, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე ყურადღებას იჩენდნენ ჩემდამი.

მე, როგორც კოშუნისტს, უდიდეს კმაყოფილებას მგვრიდა, როცა გვრძნობდი, რა სიმპათიით ეკიდებიან თქვენს ქვეყანაში ჩემი ხალხის, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის საშრომელთან ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მიიღეთ ჩემი რევოლუციური მადლობა ამ თანაგრძნობისათვის.

განსაკუთრებით მახარებს, რომ საქართველოში ჩემი ყოფნა დაემთხვა თქვენი ქვეყნის უდიდეს ზეიმს — საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს. მე წილად ხვდა ბედნიერება თქვენს შორის ყოფილიყავი ამ დღეს.

თქვენს ქვეყანაში გატარებული წლები საუკეთესო მოსაგონრად დარჩება ჩემს ცხოვრებაში. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩემს სამშობლოში კიდევ ერთხელ გაიგონ, როგორი მეგობარი ჰყავს ჩილეს ამ ქვეყნის დიდი ქვეყნის სახით, რა არის საქართველო, მისი ნიჭიერი და მშრომელი ხალხი, რას ნიშნავს ქართული სტუმართმოყვარეობა, ქართული კულტურა, ქართული მეგობრობა.

ქართველო მეგობრებო! მიიღეთ ჩემი საუკეთესო სურვილები ახალ, 1973 წელს. დაე ყოველმა ახალმა წელმა ახალი გამარჯვება და ბედნიერება მოგიტანოთ.

ჯ. ჯიშკარიანი.

• • •

სურათზე: ჩილელი გეოგრაფი გუსტავო მერკადო.

კონგრესმა განაახლა მუშაობა

ვაშინგტონი. 3 იანვარი. საკადესის კორესპონდენტი ნ. პასუმოვი გვაცნობინებს: ორი თვის შესვენების შემდეგ, რაც გაეთიშვა არჩევნებმა და საშობაო არდადეგებმა, ამერიკის კონგრესმა დღეს განაახლა თავისი მუშაობა.

კონგრესის დღის წესრიგში უმეტესად საკითხად რჩება ამერიკის შეერთებული შტატების ომი ინდოჩინეთში. სენატორებმა და კონგრესმენებმა სასტიკად გააკრიტიკეს ვაშინგტონის მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ბარბაროსული დაბომბვის გაფართოება და როგორც ჟურნალი „ნიუსუიკი“ წერს, „ტერორის დიპლომატია“, რომელსაც ჩრდილოეთ ვიეტნამის წინააღმდეგ მიმართავს. „სიკვდილი და ნგრევა, რაც ინდოჩინეთისათვის მოაქვთ, უარყოფილია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში“, — განაცხადა სენატორმა ჯ. მაკგოვერნმა, რომელმაც სხვა კანონმდებლებთან ერთად მოითხოვა, რომ კაპიტოლიუმში ადმინისტრაციის ხელმძღვანელებმა განმარტონ თავიანთი მოქმედება. ა. კრენსტონმა და კონგრესის მთელმა რიგმა სხვა მოღვაწეებმა გამოაცხადეს, რომ აპირებენ შეიტანონ საკანონმდებლო წინადადებანი ინდოჩინეთში ამერიკის მთელი სამხედრო ოპერაციების დაფინანსების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ.

თეთრი სახლის 30 დეკემბრის განცხადება, რომ წყვეტს თავდასხმებს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე 20-ე პარალელის ჩრდილოეთით, არ ხსნის კონგრესის დღის წესრიგიდან ვიეტნამის პრობლემას. სანამ ომი გრძელდება, ხოლო მშვიდობიანი შეთანხმების ხელმოწერა ჭიანურდება, აღნიშნავს „ვაშინგტონ პოსტი“, ვიეტნამის პრობლემა „დარჩება და ყოველ წუთს შეიძლება იფეთქოს“.

მშვიდ შეტაკებანი მთავრობასა და კონგრესს შორის მოსალოდნელია ეკონომიურ პრობლემებზეც. მაღალ კანონმდებლებმა უნდა განიხილონ მთავრობის მოთხოვნა, რომ გაუგრძელონ უფლებამოსილება მშრომელთა წინააღმდეგ მიმართული ხელფასისა და ფასებისადმი ყველაზე ფართოდ გავრცელებული კონტროლის დარღვევაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, როგორც ერთსულოვნად წინასწარმეტყველებს პრესა, ინფლაციასთან ბრძოლის საბაბით კვლავ შეიტანდა 250 მილიარდ დოლარამდე შეზღუდოს ფედერალური ხარჯები მიმდინარე ფინანსური წელს. წინა სესიის დროს ეს ციფრი უარყოფილ კანონმდებლებმა. მაგრამ ამჯერად, მიმოხილველთა აზრით, საკვლევ კონგრესმა გაუძლოს მთავრობის გაძლიერებულ შეკავებულობას.

ამავე დროს მთავრობაც და კონგრესიც იშვიათ გულუხვობას იჩენენ, როცა საქმე ეხება სამხედრო ხარჯებს. გასული წლის დამლევს ადმინისტრაციისა და „ქორების“ ზეგავლენით თვით კონგრესში დაამტკიცეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უდიდესი სამხედრო ბიუჯეტი, რომელიც მიმდინარე საფინანსო წელს 74,4 მილიარდ დოლარს შეადგენს. როგორც პრესა აღნიშნავს, ეს ტენდენცია სამხედრო ასიგნებათა დარგში მთავრობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისადმი ახალი მოწვევის კონგრესშიც იქნება შენარჩუნებული.

მრავალი კამათის მიუხედავად, რომლებსაც ხშირად მკაფიოდ გამოხატული წინასაარჩევნო ელფერი დაჰკრავდა, კონგრესის წინა სესიამ ვერა და ვერ გადაჭრა ქვეყნის ბევრი მწვავე საშინაო პრობლემა. უსამართლო საგადასახადო სისტემისა და სოციალური და საპენსიო უზრუნველყოფის დისკრიმინაციული სისტემის რეფორმა, სკოლებში რასობრივი დესეგრეგაციის, დამნაშავეობასთან ბრძოლის, ინფლაციისა და ფასების ზრდის პირობებში მომსხმარებლის დაცვის პრობლემები — ეს და სხვა ბევრი საკითხი კვლავინდებურად დგას კანონმდებელთა წინაშე და მათ გადაჭრას დიდი ხანია **მოელის** მილიონობით ამერიკელი.

„დროა ვიმოქმედოთ“

ვაშინგტონი. 3 იანვარი. (საკადესი). **ფიზიკოსთა** **კონგრესის სესიის გახსნის წინა** **დღეს გაიმართა სენატის საგარეო** **საქმეთა კომისიის საგანგებო** **სხდომა.**

როგორც სენატის კომისიის თავმჯდომარემ უ. ფულბრაიტმა განაცხადა, სენატორები აპირებენ განიხილონ კანონპროექტი ვიეტნამის ომის წარმოებისათვის შემდგომ ასიგნებათა აკრძალვის შესახებ, თუ მთავრობა მალე არ მოიღებს ბოლოს ომს.

სხდომის დროს სენატორებმა, ფულბრაიტის სიტყვით, გამოიტანეს დასკვნა, რომ „დროა იმოქმედონ“. ისინი „დიდად შეაძრწუნა“ ამერიკის მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვამ და, მათი აზრით, ამ აგრესიულმა აქციებმა არსებითად შეარყიეს ამერიკის **პრესტიჟი** მთელ მსოფლიოში.

გაიმართა აგრეთვე დემოკრატიული პარტიის ფრაქციის სხდომა წარმომადგენელთა პალატაში. ამ სხდომაზე გადაწყვიტეს, რომ დემოკრატთა პოლიტიკური კურსი კონგრესში მიმართული იქნება „შეერთებული შტატების მიერ ინდოჩინეთში საომარი მოქმედების წარმოებისათვის სახსრების შემდგომი გამოყოფის წინააღმდეგ“.

საიგონელი მარიონეტები ყოველთვის განიხილავდნენ ტერორს, როგორც ძალაუფლების შენარჩუნების ყველაზე ეფექტურ საშუალებას. პატრიოტული ძალების შეტევის შემდეგ მათ კვლავ დაიწყეს მასობრივი დაპატიმრებანი. ყოველ დაპატიმრებულს — მოხუცს, ქალს, ბავშვს ბრალად სდებენ ეროვნული განთავისუფლების ფრონტისადმი სიმპათიებს — **ამწყვდევენ** მათ **დილეგებში.**

სურათზე: (მარცხნივ) გლეხის ოჯახის დაპატიმრება მორიგი წმენდის დროს; მარჯვნივ — ბავშვები მავთულხლართებს იკეთ საკონცენტრაციო ბანაკში.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ექსპერტთა შეხვედრა

პარიზი. 3 იანვარი. (საკადესი). **გუშინ პარიზის** **გარეუბან შუაზი-ლე-რუაში** **მოწყო შეხვედრა ვიეტნამის** **დემოკრატიული რესპუბ-** **ლიკისა და ამერიკის შეერ-** **თებული შტატების ექსპერ-** **ტებისა პარიზის თათბირზე** **ვიეტნამის შესახებ.**

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას ამ შეხვედრაზე მეთაურობდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნგუენ კო თხატი, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის — ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილე უ. სალივენი.

კონფიდენციალური მოლაპარაკება პარიზის თათბირზე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის სპეციალურ მრჩეველს ლე დიკ თხოსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოადგილეს ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰ. კისინჯერს შორის, აგრეთვე ორი მხარის ექსპერტთა შეხვედრები შეწყდა ლე დიკ თხოსა და ჰ. კისინჯერის შეხვედრა დანიშნულია 8 იანვარს.

მტკიცე გადაწყვეტილება

უკვე რამდენიმე დღეა პარიზში აღარ ჯდისმის საჰაერო განგაშის სიგნალები. ქალაქი იშუშებს ამერიკის საერის მეკობრეთა გაფთრებულ ბრძოლებში მიღებულ მძიმე ჭრილობებს.

ქალაქის ხელისუფლებამ დაიწყეს ქუჩების გაწმენდა რაიონებში, რომლებიც ავიაციამ დაბომბა. მუშები ნანგრევებისაგან წმენდენ ქოხამხიანების ქუჩას და იქ ციდეკ პოულობენ იმათ გვამებს, ვინც ცოცხლად დაიმარხა სახლების ნანგრევებში. დიდი ყურადღება ეთმობა ეპიდემიების შესაძლო წარმოქმნის წინააღმდეგ ბრძოლას.

ამერიკის ავიაციის გიმანადგურებელი საჰაეო თავდასხმების შედეგად მსხვერპლი ჰანოის მოსახლეობაში ათასობით აღირიცხება. მაგრამ მსხვერპლი გაცილებით მეტი იქნებოდა, კარგად რომ არ იყოს მოწყობილი დამცავი ნაგებობების სისტემა, რომლებიც აგებულია მთელ დედაქალაქში, და ჰანოის საჰაერო დაცვის ძალები, რომლებსაც აღიარებენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის რაიონში ტყვედ მოხვედრილი ამერიკელი მფრინავები.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ საჰაერო ომის ესკალაციის ახალმა ნაბიჯმა ცხადყო „ბომბების დიპლომატიის“ უსუსურობა. ამერიკის ავიაციამ ორ კვირაში ჩრდილოეთ ვიეტნამში ჩამოაგდო დაახლოებით 700 ათასი ტონა ბომბი. მაგრამ აგრესორს ეს თავის 81 თვითმფრინავად დაუჯდა.

ვიეტნამელი **ხალხი** მარტო რჩება. ყოველ დღე **ადგილობრივ** პრესაში იბეჭდება ცნობები იმ აღფოთებისა და პროტესტების შესახებ, რომლებიც ტალღასავით მოედო მთელ მსოფლიოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ბარბაროსულ დაბომბვასთან დაკავშირებით. ყველა პატიოსანი ადამიანის ასეთი ფართო მხარდაჭერა ვიეტნამელ ხალხს მატებს ძალასა და სიმტკიცეს შეერთებული შტატების სამხედრო ოლიგარქიის მოგვრიებაში.

ჰოსპიტლის აღსადგენად

ვაშინგტონი. 3 იანვარი. (საკადესი). **შეერთებულ შტატებში** **თვალსაჩინო ამერიკელ მოღვაწეთა ჯგუფის ინიციატივით დაიწყო ინტენსიური კამპანია, რათა მოსახლეობაში შეაგროვონ სახსრები პაროს დიდი ჰოსპიტლის ბატმის აღსადგენად, რომელიც ამერიკის** ავიაციამ ბომბებით **დაანგრია.**

ალტაეს არ ეშვებიან

ლონდონი. 3 იანვარი. (საკადესი). **ინგლისის მთავრობამ მითითება** **მისცა ინგლისის ბანკს გადაურიცხოს მალტის მთავრობას 8,5 მილიონი** **გირვანქა სტერლინგი ამ კუნძულზე 1973 წლის პირველ კვარტალში ნა-** **მხედრო ბაზებით სარგებლობის ქირად.**

აღნიშნული თანხა არ ითვალისწინებს მალტის სამართლიან მოთხოვნას, რომ 10 პროცენტით გადიდდეს საიჯარო ქირა ინგლისური გირვანქა სტერლინგის გაუფასურებასთან დაკავშირებით.

მალტის პრემიერ-მინისტრმა მინტოფმა მანამდე განაცხადა, რომ არ მიიღებს პირველი კვარტალის ქირას, ვიდრე ამ ქირაში არ შეიტანენ საპირო კომპენსაციას.

ლონდონის ოფიციალურ წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ინგლისი არ აპირებს გადიხადოს „არც ერთი პენი“ ყოველწლიური 14 მილიონი გირვანქა **სტერლინგის** გარდა, **რაც გასული წლის** მარტში დადებული **შეთანხმებით** არის გათვალისწინებული.

ამავე დროს ინგლისი ამხელრებს მალტის წინაალმდეგ თავის ნატოელ მოკავშირეთა ერთიან ფრონტს, რომლებიც ასევე ლამობენ შეინარჩუნონ სამხედრო ბაზები მალტის კუნძულზე, რომელსაც დიდმნიშვნელოვანი სტრატეგიული როლი ენიჭება ხმელთაშუა ზღვაში. ნატოელი მოკავშირეები ინგლისს უნაზღაურებენ 8.750 ათას გირვანქა სტერლინგს იმ 14 მილიონიდან, მალტას რომ უხდის. ინგლისს განზრახული აქვს მალტის მოთხოვნების საკითხი გაიტანოს ნატოს საბჭოს მორიგ სხდომაზე.

ინგლისის მმართველ წრეებში წუხილს გამოთქვამენ იმის გამო, რომ ბრიტანეთის ყველა მოკავშირე მოლაპარაკებებს ოდენ უჭერს მას მხარს მალტასთან კონფლიქტში. კერძოდ, იტალია შეიძლება ახლავე დათანხმდეს კომპრომისს მინტოფის მოთხოვნების საკითხში.

დიდი მაქლოგა

დაკარი. 3 იანვარი. (საკადესი). ხენეგალის თევზსაჭერი გემის „შეიკ ტიდიან სის“ კაპიტანმა ასან მბენგმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა საბჭოთა მეზღვაურებს დროული და უანგარო დახმარებისათვის.

გემს მოტორი გაუფუჭდა და გაშლილ ოკეანეში აღმოჩნდა საზღვაო გზებიდან დაშორებით. სენეგალელმა მეგბადურებმა, რომლებიც ხუთ დღეს დრეიფობდნენ, დაკარგეს გადარჩენის ყოველგვარი იმედი. ამ მომენტში ისინი საბჭოთა სეინერის „ლაურიტის“ მეზღვაურებმა შენიშნეს, რომელიც კალინინგრადში მიდიოდა. კაპიტანმა არკადი ციგანკოვმა ბრძანება გასცა შეეცვალათ კურსი, და დაზიანებული გემი ბუქსირით მიიყვანეს დაკარში.

პოლიტიკური ავანტიურიზმის გზით

დელი. 3 იანვარი. (საკადესი). „ჩინური მანდარინიზმი“ — ასე ეწოდება ინდოეთის თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, უტარ-პრადეშის შტატის საკანონმდებლო კრების დეპუტატის დპარამვირ სინგჰ ტიაგის ახლახან გამოცემულ წიგნს, რომელშიც გაანალიზებულია პეკინის ხელმძღვანელობის პოლიტიკა განვითარებადი ქვეყნების მიმართ.

ავტორი აღნიშნავს, რომ „მაოისტური ხელმძღვანელობის ნამდვილი მიზანი ის არის, რომ შეაფერხოს ახალგაზრდა განვითარებადს სახელმწიფოებში რევოლუციური მოძრაობის განვითარების პროცესი, ჩამოაშოროს ისინი საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს“. თავს ასაღებს რა განვითარებადი ქვეყნების ინტერესების დამცველად, სინამდვილეში პეკინი ისახავს სულ სხვაგვარ ამოცანებს, რომლებსაც ნიღბავს დემაგოგიური ლოზუნგებით. ამ ლოზუნგებს საერთო არა აქვთ რა აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში რევოლუციური მოძრაობის **პრობლემებთან.** დიდმპყრობელური შოვინიზმი, ჰეგემონისტური მისწრაფებანი — აი პეკინის ხელმძღვანელთა თანამედროვე საგარეო-პოლიტიკური კურსის ყველაზე დამახასიათებელი ნიშნები, წერს ავტორი.

პეკინის ლიდერების მიერ წამოყენებულ თანამედროვე ეპოქის ძირითადი შინაარსის განსაზღვრაში, წერს ტიაგი, „სრულიად არ არის მოცემული მთავარი, სახელდობრ კი ის, რომ ასლა შეურიგებელი იდეოლოგიური ბრძოლა მიმდინარეობს იმპერიალიზმსა და სოციალიზმს შორის. მაგრამ პეკინის ხელმძღვანელობა კიდევ უფრო მეტად ეფლობა ოპორტუნიზმის ჭაობში, როცა აყენებს ლოზუნგს, რომ საჭიროა ბრძოლა ორი **შესახელმწიფოს,** ესე იგი **საბჭოთა** კავშირისა **და ამერიკის** შეერთებული **შტატების** წინააღმდეგ. ამგვარი პარალელიზმი მიმართულია უწინარეს ყოვლისა მსოფლიოს სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ სსრ კავშირის მეთაურობით, რომელიც „მესამე სამყაროს“ ქვეყნების საიმედო მოკავშირეა. განვითარებადი სახელმწიფოებისათვის საშიშროების ძირითადი წყაროა იმპერიალიზმი, და ლაპარაკი საბჭოთა კავშირზე ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთიანი კავშირით — ნიშნავს მისცეგ იმპერიალიზმს კოზირი სოციალიზმისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა წინააღმდეგ ბრძოლაში“.

ყველაზე უფრო აშკარად, აღნიშნავს ავტორი, მაოისტთა ამ პოლიტიკის ჭეშმარიტი აზრი გამოვლინდა ბანგლადეშში მომხდარი ამბების დროს. „პეკინის განცხადებანი, რომ სოლიდარობით მოეკიდებოდა და მხარს დაუჭერდა ყველა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, — წერს იგი, — გაცამტვერდა იმის შედეგად, რომ აშკარად ეხმარებოდა დასავლეთ პაკისტანის სამხედრო ხუნტას იარაღითა და ფულით ბარბაროსულ რეპრესიებში ბანგლადეშის 75-მილიონიანი მოსახლეობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, და ამ დახმარებას პეკინი უწევდა მაშინ, როცა ესოდენ სჭირდებოდა იგი გმირ ვიეტნამელ ხალხს“.

ვიეტნამის მიმართ პეკინის პოლიტიკას საფუძვლად უდევს, აღნიშნავს ტიაგი, „მისწრაფება როგორმე თავი აარიდოს ამერიკის შეერთებული შტატების გულისწყრომას. სწორედ ამიტომ მაოისტებმა უარი განაცხადეს ეთანამშრომლათ სსრ კავშირთან ერთიანი ფრონტის შექმნაში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მხარდასაჭერად“.

ეხება რა სასაზღვრო პრეტენზიებს, რომლებსაც ჩინეთი უყენებს თავის მეზობლებს, კერძოდ ინდოეთსა და საბჭოთა კავშირს, ავტორი ხაზს უსვამს, რომ „პეკინი ამას იმისათვის იყენებს, რომ ჩინეთის მოსახლეობის ფართო ფენების ყურადღება ჩამოაშოროს იმ სიძნელეების ჭეშმარიტ მიზეზებს, რომელთა წინაშე აღმოჩნდა ჩინეთი“.

„არც ერთ საღად მოაზროვნე კაცს, — ასკვნის დ. ს. ტიაგი, — ეჭვი არ ეპარება, რომ ჩინეთი დიდი სახელმწიფოა და აქვს უდიდესი შესაძლებლობანი გაგლეწა მოახდინოს საერთაშორისო განვითარების მსვლელობაზე. 1949 წელს რევოლუციის გამარჯვების შედეგად ჩინეთი გადაიქცა ანტიიმპერიალისტური ბრძოლის დიდმნიშვნელოვან ფაქტორად და დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი მოიპოვა თავისი არსებობის პირველ პერიოდში. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ განეგრძოთ სოციალისტურ ქვეყნებთან, იმ ერთადერთ ძალასთან თანამშრომლობის კურსი, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ჩინეთისათვის მსოფლიოში მისი ობიექტური მდგომარეობის შესაბამისი სტატუსი, ჩინეთის ხელმძღვანელები გასული ათწლეულის დამდეგს დაადგნენ ავანტიურიზმის გზას, რომელმაც მიიყვანა მათი ქვეყანა თანამედროვე მსოფლიოს ძირითად რევოლუციურ ძალებთან დაპირისპირებულ ბანაკში. ამ კურსს მოჰყვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის იზოლაცია სოციალისტური თანამეგობრობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისაგან, გაზარდა მისი დამოკიდებულება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოებზე“.

ინფორმაციული ბიულეტენი

კაკაოს ღვინო

კაკაოს ღვინო გემოვანი თვისებებით არ ჩამოუვარდება ყურძნის ღვინოს.

ასეთი დასკვნა გამოიტანეს ჯერ კიდევ 1965 წელს ნიგერიის ვეტერობის სამინისტროს ექსპერტებმა. მაგრამ გავიდა წლები, სანამ ნიგერიის სამხრეთ-აღმოსავლეთი შტატის ორი ახალგაზრდა მეცნიერი ხაბოლოოდ არ დაამშვენებდა და არ დააპატენტებდა კაკაოს ღვინის დამზადების ტექნოლოგიას.

ცდებმა ცხადყო, რომ კაკაოსგან შეიძლება დამზადდეს სხვადასხვა ხარისობის ღვინო, რომლებიც გემოთი და სურნელებით ჰგვანან შავ და წითელ ყურძნის ღვინოებს, თვით ვერმუტსაც.

სამხრეთ-აღმოსავლეთი შტატის მთავრობა აპირებს გამოუყოს 800 ათასი ნიგერიული გირვანქა ჭარხლის მშენებლობისათვის (უნგრელ სპეციალისტთა ტექნიკური ხელშეწყობით), რომელიც გამოუშვებს წელიწადში 2,5 მილიონ ბოთლ ამ უჩვეულო ღვინოს. საზღვარგარეთიდან უკვე მოვიდა განცხადები ახალ პროდუქტზე.

(საკდესი).

თავლასსმა მუზეუმზე

ახალ წელს ღამით უცნობმა პირებმა შეაღწიეს ფრიდრიხ ენგელსის მუზეუმში ვუპერტალში (გფრ) და ცეცხლი წაუკიდეს მას. ხანძრის ლიკვიდაცია მოხერხდა, მაგრამ მან მუზეუმს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა.

მემარჯვენე ექსტრემისტულმა ელემენტებმა, როგორც პრესა იუწყება, სცადეს აგრეთვე შეხვედრა ექვე ახლოს მდებარე გერმანელთა კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის შენობაში, მაგრამ ვერ მოახერხეს.

(საკდესი).

ტრაღიციის მსხვერპლნი

ბევრი სადავიდარაბო საქმე გაუჩინა ახალ წელს ღამით ავსტრიელ მეხანძრეებსა და მაშველ სამსახურის მუშაკებს ძველისძველმა ტრადიციამ — ახალი წლის შეხვედრამ შუშხუნებისა და მაშალების ცეცხლით, ბეტარდების აფეთქებით. ერთი მოკლული, ათზე მეტი დაჭრილი, ხანძრები ზოგიერთ ქალაქში და ტყის ხანძარიც კი ზემო ავსტრიის მხარეში — ასეთია მხოლოდ ზოგიერთი „შედეგი“.

30 კილოგრამი ნივთიერების აფეთქების შედეგად, რომელსაც ბეტარდების დასამზადებლად იყენებენ, ვენის ერთ მაღაზიაში გაჩნდა ხანძარი, რომელმაც მთლიანად გაანადგურა შენობა, სადაც იყიდებოდა ეს საახალწლო სიურპრიზები. 5 კაცი დაშავდა.

პრესა აყენებს ხაკითხს, რომ აიკრძალოს ასეთი „სათამაშოები“, რადგან ისინი საშიშროებას წარმოადგენენ. (საკდესი).

საკალორიო სტატისტიკა

მადრიდი. ესპანეთის ცენტრალური ავტომატარანსპორტო სამმართველოს მონაცემებით, გასულ წელს საგზაო შემთხვევების რიცხვმა რეკორდულ ციფრს მიაღწია და შეადგინა დაახლოებით 62 ათასი. ამ შემთხვევების დროს დაიღუპა 4.870 კაცი და დაშავდა 96 ათასი. საშობაო დღესასწაულის პერიოდში დაიღუპა 144 კაცი და დაშავდა 1.732.

პარიზი. საახალწლო დღესასწაულის დროს მომხდარი საავტომობილო კატასტროფების შედეგად საფრანგეთის გზებზე წინასწარი მონაცემებით დაიღუპა 86 და დაშავდა 590 კაცი.

რომი. საშობაო დღესასწაულის სამი დღის განმავლობაში მომხდარი საავტომობილო კატასტროფების შედეგად იტალიაში დაიღუპა 50 კა

ᲙᲘᲜᲝ

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

ᲚᲐᲜᲐ ᲒᲝᲒᲝᲑᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲠᲝᲪᲐ ᲐᲧᲕᲐᲕᲓᲐ ᲜᲣᲨᲘ“ (ᲙᲘᲜᲝᲡᲢᲣᲓᲘᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ“) ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲕᲔᲢ ᲛᲝᲛᲕᲔᲚᲘᲐᲓᲔ ᲘᲧᲝ. ᲐᲮᲚᲐ ᲓᲐᲠᲩᲣᲜᲣᲚᲘᲗᲘᲐ ᲨᲔᲛᲝᲗᲕᲘᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲘᲔᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲗ „ᲠᲝᲪᲐ ᲐᲧᲕᲐᲕᲓᲐ ᲜᲣᲨᲘ“ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲮᲐᲢᲒᲠᲣᲚᲘ ᲪᲘᲠᲘᲡᲔᲑᲘᲗ ᲢᲝᲚᲒᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲒᲘᲗᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ „ᲠᲝᲪᲐ ᲐᲧᲕᲐᲕᲓᲐ ᲜᲣᲨᲘ“ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲮᲐᲢᲒᲠᲣᲚᲘ ᲪᲘᲠᲘᲡᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲐᲒᲘᲗᲕᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ. ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲗᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲚᲐᲜᲐ ᲒᲝᲒᲝᲑᲐᲠᲘᲫᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲖᲔ. ᲛᲘᲡᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲓᲐᲘᲜᲢᲠᲘᲒᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲘᲛ ᲤᲐᲥᲢᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲥᲛᲜᲔᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲓ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲪᲔᲞᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲠᲒᲐᲛᲝᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛ ᲛᲮᲐᲢᲒᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐ. ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲗᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲖᲘᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ.

ᲤᲘᲚᲛᲨᲘ ᲐᲛᲘᲐᲕᲗᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲜᲔᲚᲐ ᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ. ᲝᲠᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ: ᲒᲝᲠᲪᲘᲡ ᲐᲧᲕᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲒᲠᲫᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲘᲜᲐᲡᲬᲠᲒᲐᲛᲝᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲗᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲡᲘᲦᲠᲛᲔᲨᲘ. ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲗᲘᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲐᲠᲘᲗᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲛᲘᲛᲘᲖᲘᲓᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ.

ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲐ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲐᲛᲝᲪᲣᲚᲘᲐ ᲜᲐᲗᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲛᲓᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲡᲐᲛᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲕᲔᲕᲘ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ